სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება #67

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

მატჩი	მარნეულის „არმაზი“ - პატარძეულის „პატარძეული“		
გუნდი	პატარძეულის „პატარძეული“	შეჯიბრი	რეგიონალური ლიგა
მატჩის თარიღი	27/04/2025	მატჩის ადგილი	თბილისი, ვაზისუბანი
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია.		

დარღვევის აღწერა			
პიროვნება, სტატუსი		დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი	პატარძეულის „პატარძეული“		
☒მატჩის ოფიციალური პირი ☐პიროვნება	მატჩის მეთვალყურე - გიორგი ჯოხია;	დარღვევა	☐ აღიარებულია ☐ უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია - დანართი #3: ფიქსირებული სანქციები, 1. სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მიერ წინასწარ დანიშნულ მატჩში მონაწილე, რომელიმე და/ან ორივე, გუნდის თამაშზე არ გამოცხადება საპატიო მიზეზ(ებ)ის გარეშე და/ან სრკ-ს საშეჯიბრო დებულების 7.1 (მატჩზე 12-ზე ნაკლები მოთამაშით გამოცხადება) პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევა.	☐ წითელი ბარათი ☐ საითინგი ☒ სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ : მატჩის მეთვალყურის, გიორგი ჯოხიას მატჩის ოქმი;	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	29/04/2025	**განხილვის ადგილი**	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყებია		
დამრღვევის დასწრება	☐ **კი (დისტანციური)** ☐ **არა**	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი		აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მეთვალყურის, გიორგი ჯოხიას მატჩის ოქმი;		

დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მეთვალყურის, გიორგი ჯოხიას მატჩის ოქმი;

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

ფაქტობრივი მოცემულობა და მსჯელობა

1. 27/04/2025 სრკ-ს საშეჯიბრო სამსახურის მიერ დანიშნული იყო რეგიონალური ლიგის აღმოსავლეთის II ჯგუფის ნახევარფინალური მატჩი მარნეულის „არმაზი“-სა და პატარძეულის „პატარძეულს“ შორის.
2. მატჩის მეთვალყურის, გიორგი ჯოხიას მატჩის ოქმის მიხედვით - მატჩი არ შედგა პატარძეულის „პატარძეული“-ს თამაშზე არ გამოცხადების გამო.
3. სადისციპლოინო სამსახურის წერილს თამაშზე არ გამოცხადების მიზეზების განმარტების მოთხოვნით, პატარძეულის „პატარძეულმა“ არ უპასუხა.

მსჯელობა

სადისცპლინო კომისიამ სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი მოცემულობების განხილვის და მსჯელობის შემდეგ დადგენილად ცნო პატარძეულის „პატარძეულის“ მიერ სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია - დანართი #3-ს ფიქსირებული სანქციები: 1-ლი პუნქტის დარღვევა და მიიღო

გადაწყვეტილება

1. პატარძეულის „პატარძეულს“-ს ჩაეთვალოს წაგება, დააკლდეს 3(სამი) საცხრილო ქულა რეგიონალური ლიგის საშეჯიბრო ცხრილში და დაჯარიმდეს 500(ხუთასი) ლარით.
2. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7(შვიდი) კალენდარულ დღეში გადაუხდელობის შემთხვევაში პატარძეულის „პატარძეულს“ რეგიონალური ლიგის საშეჯიბრო ცხრილში დამატებით დააკლდება 2(ორი) საცხრილო ქულა.
3. პატარძეულის „პატარძეული“ მომდევნო სათამაშო სეზონს დაიწებს დაკლებული ქულების შესაბამისი უარყოფითი საცხრილო ქულათა ბალანსით.
4. მარნეულის „არმაზს“ ჩაეთვალოს მოგება და ანგარიში დაფიქსირდეს 30:0 მის სასარგებლოდ.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	29/04/2025

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.**